



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 297

ქალაქი ქუთაისი 31 აგვისტო 2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის
25 თებერვლის № 116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №116 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №693 – №701 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან ამოღებულ იქნეს № 640 პუნქტი.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და

სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
693	მიწის ნაკვეთი	მესხის ქუჩა №1ა-ს ჩრდილოეთით	200.0	03.01.23.463	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
694	მიწის ნაკვეთი	შარტავას ქუჩა №2-38-ის სამხრეთით	72.0	03.01.24.649	90.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
695	მიწის ნაკვეთი	ახალგაზრდობის გამზირი №25ა-ს ჩრდილო-აღმოსავლეთით	175.0	03.06.25.543	60.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
696	მიწის ნაკვეთი	ორახელაშვილის ქუჩა №16-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით	158.0	03.01.24.648	38.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
697	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-3 ჩიხის №5-ის სამხრეთ-აღმოსავლეთით	1190.0	03.05.22.596	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
698	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევის №18-ის სამხრეთით	1530.0	03.05.23.337	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
699	არასაცხოვრებელი ფართი	შოთა რუსთაველის გამზირი №8/ფალიაშვილის ქუჩა №2	2419,2 მიწა 1020.55 არასაცხოვრებელი ფართი	03.03.01.259.01.518	გამოყოფილი ნაწილის ფართობით 20.34 კვ.მ.-ის წლიური საწყისი საიჯარო ქირა 4000	უპირობო	ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში
700	შავი ლითონი (შერეული)	მეორადი ნედლეული (ჯართი)	2800 კგ.	-	450	პირობა: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, შექმნილი ქონებისგან ტერიტორიის განთავისუფლება განახორციელოს საკუთარი სახსრებით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 14 დღისა	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
701	შენობა-ნაგებობა	გრიშაშვილის ქუჩის II შესახვევი №8	2148.0 მიწა 523.26 შენობა	03.04.25.225	390000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში